უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 07

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი 12/ 03 /2020 წ
სხდომის დაწყების დრო -14:30 სთ
სხდომის დამთავრების დრო 21 სთ
სხდომის თავმჯდომარე - დიმიტრი გეგენავა
სხდომის თავმჯდომარე - ნიკა თიკანაშვილი
საბჭოს მდივანი - ნიკოლოზ კიკნაძე

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. დიმიტრი გეგენავა - შპს - სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი, სხდომის თავმჯდომარე;
2. ნიკოლოზ კიკნაძე - შპს - კავკასიის უნივერსიტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი; (საბჭოს მდივანი);
3. გურანდა ჭელიძე - შპს - კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი;
4. თამარ ტუფინაშვილი - შპს - დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. მანანა კევლიშვილი - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
6. ნინო დობორჯგინიძე - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
7. გიორგი თურქია - ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
8. ეკა ეკალაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი
9. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები

№	სახელი, გვარი	სტატუსი
1	თამთა მოხევიშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	ციცინო თურქაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზტუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
2.	მანანა ქარჩავა		„საკვები პროდუქტების ტექნოლოგიისა და უვნებლობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I
3.	ელიზა ფრუიძე		„საკვები პროდუქტების ტექნოლოგიისა და უვნებლობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I
4.	არჩილ ჯანგირაშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	აკრედიტაციის განყოფილების უფროსი	II
5.	ნანა უბილავა		ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის ხარსიხის მენეჯერი მედიცინის მიმართულებით	II
6.	მარიამ ლობჯანიძე		ასისტენტი	II
7.	გიორგი ქვარცხავა	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ფაკულტეტის დეკანი	III
8.	ნინო ლომიძე		ხარსიხის სამსახურის უფროსი	III
9.	აკაკი გუნცაძე		მენეჯერი	III
10.	ზაზა რუხაძე	შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	ვიცე-რექტორი	IV
11.	ქეთავნ ჯინჭარაძე		ხარსიხის უზრუნველყოფის სამსახურის სამსახურის უფროსი	IV
12.	იაგო კაჭკაჭიშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტის დირექტორი	IV
13.	რევაზ ჯორბენაძე		სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი	IV
14.	მარინა მუსხელიშვილი		პროფესორი	IV
15.	მაია გონაშვილი	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	პროფესორი, პროგრამის თანახელმძღვანელი	IV

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

აკრედიტაციის ექსპერტები

№	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1.	ლევან გულუა		I
2.	თამარ სანიკიძე		I
3.	თამარ ხატისაშვილი		I
4.	დავით ჯიქია		II
5.	ლელა სტურუა		II
6.	ვახტანგ თებიძე		II
7.	ნიკა ჩიტაძე		III
8.	ნინო ფავლენიშვილი		III
9.	ელენე ხურციძე		III

საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომის თავმჯდომარედ განისაზღვრა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, დიმიტრი გეგენავა.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საკვები პროდუქტების ტექნოლოგიისა და უვნებლობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
2. ა (ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ სადოქტორო პროგრამა საგანმანათლებლო პროგრამა;
3. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და ჯანდაცვის პოლიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
4. შპს - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სატყეო საქმის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (სააპელაციო საბჭოს მიერ უკან დაბრუნებული);
5. შპს - ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის, შპს - კავკასიის უნივერსიტეტის და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების“ ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

✓ კი

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

შუამდგომლობა დააყენა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა, თეა ნადირაძე. მას საბჭოს წევრებს გააცნო ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი კორესპონდენცია, რომლითაც მოთხოვნილი იყო საკითხის განხილვის გადადებას.

დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საკვები პროდუქტების ტექნოლოგიისა და უვნებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;

2. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და ჯანდაცვის პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;

3. შპს - ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის, შპს - კავკასიის უნივერსიტეტის და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების" ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის განხილვა.

4. შპს - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სატყეო საქმის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (სააპელაციო საბჭოს მიერ უკან დაბრუნებული).

1. პირველი საკითხი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საკვები პროდუქტების ტექნოლოგიისა და უვნებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	საკვები პროდუქტების ტექნოლოგიისა და უვნებლობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[2]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 19 აპრილი №117; საქართველოს მთავრობის 2017 წლის 07 სექტემბრის №1881 განკარგულება, ცენტრის დირექტორის 2017 წლის 10 ოქტომბრის №646 ბრძანება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	სასურსათო ტექნოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[5]	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სასურსათო ტექნოლოგიის მაგისტრი

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	-
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
13	განხორციელების ადგილი[7]	საქართველო, 4600 ქ. ქუთაისის, ახალგაზრდობის გამზ.№98, სასწავლო კორპუსი VIII
14	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

ეკა ეკალაძე - თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტი ქუთაისში, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, განახორციელა 2019 წლის 30 დეკემბერს. მან აღნიშნა, რომ პირველი რეკომენდაცია ეხება პროგრამის დასახელებას და სასურველია მას ეწოდოს „სასურსათო ტექნოლოგია და სურსათის უვნებლობა". ასევე აღნიშნა, რომ სასწავლო პროგრამაზე შემუშავებული უნდა იყოს პროგრამაზე დაშვების შიდასაუნივერსიტეტო წესი; საჭიროა სილაბუსში „საკვები დანამატები" დაზუსტდეს ლაბორატორიების სამუშაო შინაარსი და მოვიდეს შესაბამისობაში; კურსში - „საკვები პროდუქტები; კვლევის თანამედროვე მეთოდები" საჭიროა გაძლიერდეს თანამედროვეობის წილი. დაზუსტდეს მე-9 და მე-10 ლაბორატორიული სამუშაოების შინაარსი. მნიშვნელოვნად გაძლიერდეს ლაბორატორიული სწავლების დონე და ხარისხი. გაძლიერდეს საწარმოო პრაქტიკის სწავლება. ასევე გასაძლიერებელია სამაგისტრო ნაშრომის პრაქტიკული ნაწილი. აუცილებელია სტატიების გამოქვეყნება უცხოურ რეფერირებად ჟურნალებში. საჭიროა ყველა სილაბუსში მოყვანილი ლიტერატურა განთავსდეს ერთ სივრცეში, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით, რათა სტუდენტს გაუადვილდეს მისთვის საჭირო ინფორმაციის მიღება. ასევე, გაძლიერდეს კავშირები დამსაქმებლებთან. მან საბჭოს წევრებს ასევე

---

[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[7] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

გააცნო რამოდენიმე რჩევა, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა ჩამოაყალიბეს ვიზიტის ფარგლებში: სასურველია რომ სილაბუსებში უფრო დიდი დოზით იყოს გამოყენებული ინგლისურენოვანი ლიტერატურა; გაძლიერდეს უცხოური ენის სწავლება; სასურველია წარმოდგენილი მემორანდუმის ფარგლებში უცხოურ უნივერსიტეტებთან საერთო ღონისძიებების ჩატარება; ასევე სასურველია მეტი პოტენციური დამსაქმებლის მოზიდვა; სამაგისტრო ნაშრომის ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილზე მეტი ყურადღების გამახვილება; შეიქმნას მეტი რესურსი ახალგაზრდა, კვალიფიციური კადრების მოსაზიდად; სასურველია უცხოელი პროფესორების დროებით მოწვევა და სწავლის პროცესში ჩართვა მემორანდუმების ფარგლებში. ასევე, გარე ხარისხის შეფასების ეფექტურობის გაზრდისთვის კარგი იქნება საერთაშორისო გამოხმაურებებისა და შეფასებების გამოყენება. მან აღნიშნა, რომ მოხდა მატერიალური ბაზის დათვალიერება. ბაზამ მოწონება დაიმსახურა ექსპერტებში, ხოლო რეკომენდაციები და რჩევები ამ ბაზების გამოყენებას უკავშირდებოდა მეტწილად.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების პოზიცია

უნივერსიტეტის წარმომამდგენელმა მადლიერება გამოხატა რეკომენდაციებისთვის და დასძინა, რომ არგუმენტირებულ პოზიციაში უნივერსიტეტმა განსხვავებულად წარმოაჩინა თავისი შეხედულებები; რიგ საკითხებში იგი არ ეთანხმებოდა ექსპერტების პოზიციას. მან ისაუბრა, რომ ბაზრის კვლევას, ბაზების გაფართოებას, სტუდენტების სტაჟირებას ახორციელებენ, რომ სილაბუსებზე კეთდება დიდი აქცენტი და ისინი სტანდარტებთან შესაბამისობაშია. ასევე დასძინა, რომ არგუმენტირებულ პოზიციაში მოხდა გარკვეული ტექნიკური ხარვეზები, რაც შემდგომში არ გასწორდა, რამაც ეჭვი გამოიწვია, რომ არგუმენტირებული პასუხის შესწავლა სათანადოდ არ მოხდა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ის ხარვეზები, რაც იყო წარმოდგენილი მეორე რეკომენდაციაში, მისაღებია მათთვის და ამ ვიზიტის შემდგომ, რეკომენდაციების კვალდაკვალ უნივერსიტეტმა დახვეწა პროგრამა და გაითვალისწინა ექსპერტთა მოსაზრებები. მან აღნიშნა, რომ მათ შეცვალეს ლაბორატორიული საქმიანობის სპეციფიკა; გამომდინარე იქიდან, რომ ეს გახლავთ სამაგისტრო პროგრამა, შესაძლებელი გახდა ლაბორატორიული საქმიანობის ჩატარება საწარმოო პირობებში. ასევე გაიზარდა ლაბორატორიული სამუშაოების დროც. მან ისაუბრა პროგრამის პრაქტიკაზე, რომელიც გულისხმობს მაგისტრანტის, სამაგისტრო თემიდან გამომდინარე, შესაბამის საწარმოოში გაგზავნას. რაც განაპირობებს, როგორც პრაქტიკის გავლას, ასევე სამაგისტრო თემაში უკეთ გაცნობას. მან ასევე ისაუბრა ვიზიტის დროს სტუდენტებთან შეხვედრისას წარმოქმნილ ხარვეზზე, რამაც შემდგომ ექსპერტთა გადაწყვეტილებებზე გავლენა იქონია. ინციდენტი მდგომარეობდა იმაში, რომ კითხვაზე - „რა ისწავლეს ამ დროის მანძილზე უნივერსიტეტში?", სტუდენტებმა დუმილით უპასუხეს. ამას უნივერსიტეტის წარმომადგენელი ხსნის იმ ფაქტით, რომ სწავლა 2 თვის დაწყებული ჰქონდათ და ისინი პირველკურსელები იყვნენ, თუმცა იქვე დასძენს, რომ ცხადია, ეს მათ არ ამართლებთ.

ექსპერტმა დაამატა, რომ სტუდენტები და კურსდამთავრებულები ვერ ასახელებენ მათთვის საინტერესო ერთ საგანს ან ლაბორატორიულ მეთოდს, რომელიც აითვისეს სწავლების პერიოდში.

დისკუსია

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ მიმდინარე პროგრამაში სავალდებულო კურსები არის მხოლოდ სურსათის უვნებლობის კუთხით, ხოლო ტექნოლოგიური საგნები არის არჩევითი ხასიათის.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ტექნოლოგიური ხასიათის საგნებიც საკმაოდ არის პროგრამაში ჩადებული.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ მას ჰქონდა ორი კითხვა, პირველი ეხებოდა პროგრამის დაშვების წინაპირობას სადაც აღნიშნულია, რომ ნებისმიერი ბაკალავრიატის სტუდენტს შეუძლია ჩააბაროს ამ პროგრამაზე. წევრი აღნიშნავს, ხომ არ იქნებოდა უპრიანი, კონკრეტულად ამ სფეროში დამთავრებულმა სტუდენტებმა შეძლონ შემდგომ ამ პროგრამაზე სწავლის გაგრძელება. მეორე საკითხი შეეხება იმას, რომ პროგრამაში შეთავაზებულია რუსული, ინგლისური და გერმანული ენა. წევრს აინტერესებს, რით არის განპირობებული ამ ენების არჩევა. იქვე დასძენს, რომ რუსული ენის სილაბუსი ბევრად კარგია, ვიდრე თუნდაც ინგლისურის.

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სამაგისტრო პროგრამა აძლევს სტუდენტს იმის საშუალებას, რომ მან შეიცვალოს სპეციალობა და გამომდინარე აქედან არის ჩადებული პროგრამაში წინაპირობის არქონა.

უნივერსიტეტის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეროვნული გამოცდების დროს ისინი იღებენ ისეთ აბიტურიენტებს, რომლებიც სამიდან რომელიმე უცხო ენას აბარებს და გამომდინარე აქედან, ამ შემთხვევაში აბიტურიენტს უკვე აქვს გარკვეული ცოდნა ამ ენაში და სწორედ ამიტომ აქვს პროგრამას სამივე ენა ჩადებული.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ პროგრამაში ჩადებული ფსიქოლოგია და პედაგოგიკა ნაკლებად საჭირო საგნები იყო, მისი აზრით, ამ კურსისათვის.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ სტუდენტს შეუძლია მოღვაწეობა დაიწყოს აკადემიურ სფეროში და ამიტომ ისწავლება ფსიქოლოგია და პედაგოგიკა ამ სასწავლო კურსზე.

საბჭოს წევრმა დაუსვა კითხვა უნივერსიტეტს სამაგისტრო ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებით. კერძოდ, მან იკითხა, შინაარსისა და პრეზენტაციის შეფასება როგორ ხდებოდა, ახორციელებდა თუ არა ამას შესაბამისი კომისია.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. 60+40 გახლავთ შეფასება, სადაც ჩადებულია პრეზენტაცია და თავად თემის შინაარსი. შეფასება ხდება ერთჯერადად და ქულა იწერება მთლიანად.

საბჭოს წევრა დასვა კითხვა, რომ სილაბუსში მითითებულია ოთხ თემაზე ერთი და იგივე წიგნიდან გვერდები 89-107, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი წიგნია საიდანაც შეიძლებოდა მითითება. კითხვა მდგომარეობდა იმაში, თუ რამ გამოიწვია ეს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამ მონაცემით ისინი ასწავლიან მაგისტრს, თუ როგორ გააფორმოს ნაშრომი, მოიძიოს ლიტერატურა და გააკეთოს ლიტერატურული მიმოხილვა.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო 15:28

დამთავრების დრო 15:45

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის **„საკვები პროდუქტების ტექნოლოგიისა და უვნებლობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის** აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ საკითხი.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- ✓ საბჭო ნაწილობრივ იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას.

კერძოდ, საქმის ზეპირი მოსმენისას გამოიკვეთა, რომ სტუდენტები სასწავლო კურსების სწავლების შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ, ვერ ასახელებენ თუ რომელი საგანი ისწავლეს, ან რომელი სასწავლო კურსი იყო მათთვის ყველაზე მეტად საინტერესო. აღნიშნულით დასტურდება, რომ სწავლება-სწავლის პროცესი სრულყოფილად არ მიმდინარეობს. გარდა ამისა, გამოიკვეთა ის ფაქტიც, რომ არ არსებობს სტუდენტებისგან შესაბამისი უკუკავშირი. ასევე, რაიმე სახის უკუკავშირის შედეგად არ ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება. საბჭომ საქმის მასალების შესწავლისა და ზეპირი მოსმენის შედეგად დაადგინა, რომ წარმოდგენილი პროგრამა კვალიფიკაციაზე ვერ გადის, ხოლო სილაბუსების სტრუქტურის შინაარსი გაუგებარია. საბჭოს მიერ გაიცა რეკომენდაცია, რომ გაიმართოს სასწავლო პროცესი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭომ **მეორე სტანდარტის** შეფასება ნაცვლად „ნაწილობრივი შესაბამისობაში მოთხოვნებთან“ შეცვალა და განსაზღვრა როგორც **„არ არის შესაბამისი მოთხოვნებთან“.**

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის შემდეგი რეკომენდაციები:

ა) შეიცვალოს პროგრამის დასახელება და ჩამოყალიბდეს როგორც „სასურსათო ტექნოლოგია და სურსათის უვნებლობა";
ბ) სასწავლო პროგრამაში წარმოდგენილ იქნას პროგრამაზე დაშვების შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების ჩატარების წესი;
გ) გაძლიერდეს HACCP-ის გეგმის შედგენის სწავლება პრაქტიკაში, უვნებლობის გეგმის შედგენა და დანერგვა;
დ) სილაბუსებში „საკვები დანამატები" დაზუსტდეს ლაბორატორიული სამუშაოების შინაარსი და მოვიდეს შესაბამისობაში სწავლის შედეგებთან;
ე) სილაბუსში „საკვები პროდუქტების კვლევის თანამედროვე მეთოდები" გაძლიერდეს თანამედროვე მეთოდების წილი, დაზუსტდეს მე-9 და მე-10 ლაბორატორიული სამუშაოების შინაარსი;
ვ) მნიშვნელოვნად გაძლიერდეს ლაბორატორიული სწავლების დონე და ხარისხი;
ზ) გაძლიერდეს საწარმოო პრაქტიკის სწავლება, როგორც რაოდენობრივად, ასევე, ხარისხობრივად;
თ) გაძლიერდეს სამაგისტრო ნაშრომის პრაქტიკული ნაწილი;
ი) აუცილებელია სტატიების გამოქვეყნება უცხოურ რეფერირებად ჟურნალებში;
კ) ყველა სილაბუსში მითითებული ლიტერატურა განთავსდეს ერთ სივრცეში (როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით), სადაც სტუდენტი უფრო მარტივად შეძლებს მისთვის საჭირო ნებისმიერი ლიტერატურის მიღებას;
ლ) გაძლიერდეს კავშირები დამსაქმებლებთან.

კენჭისყრის შედეგები - აკრედიტაციის მინიჭება:
მომხრე: 0
წინააღმდეგი: 8

კენჭისყრის შედეგები - პირობითი აკრედიტაციის მინიჭება:
მომხრე: 4
წინააღმდეგი: 4

გადაწყვეტილება

- აკრედიტაციის შესახებ
- პირობითი აკრედიტაციის შესახებ
- ✓ **აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ**
- აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს გადაწყვეტილებით „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების სახეობაზე კენჭისყრის შედეგად - 4 ხმით 4 წინააღმდეგ, ამავე დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, კენჭისყრის შედეგად უარი ეთქვა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საკვები პროდუქტების ტექნოლოგიის და უვნებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის მინიჭებაზე.

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

2. მეორე საკითხი - შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და ჯანდაცვის პოლიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[8]	საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[9]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2015 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება №10
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[10]	საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური[11]	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[12]	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[13]	-
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
13	განხორციელების ადგილი[14]	საქართველო, ქ. თბილისი , 0171, მ. კოსტავას ქ. №77.
14	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

---

[8] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[9] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია;

[10] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[11] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[12] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[13] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[14] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

საბჭოს/სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ საქართველოს უნივერსიტეტში სააკრედიტაციო ვიზიტი განხორციელდა „საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკის" სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით. პროგრამა შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან და სტრატეგიულ გეგმასთან. მის კურსდამთავრებულებს ენიჭებათ კვალიფიკაცია „საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის მაგისტრი". მან აღნიშნა, რომ რეკომენდირებულია ქართულენოვანი ლიტერატურის დამატება, თუნდაც „რიდერებისა" და „ჰენდაუტების" სახით. ასევე, რეკომენდირებულია სასწავლო-სამეცნიერო ბმულების პერიოდულად შემოწმება და გასწორება. საჭიროა, შეფასების სისტემაში აღწერილი იყოს სტუდენტების რეფერატებისა და დავალებების მეთოდოლოგია და პროცედურა. კერძოდ, ვის მიერ განხორციელდება დავალებების შეფასება, რამდენი სპეციალისტი იქნება ჩართული და რა იქნება მათი წილი საბოლოო შეფასებაში. გარდა ამისა, მან დასძინა, რომ გაიცა რჩევა, რომ სასურველია სტუდენტების დავალების შეფასება განხორციელდეს ერთზე მეტი შეფასების მიერ, რაც აღწერილი იქნება შეფასების სისტემაში და სასურველია ბიბლიოთეკის საძიებო სისტემა იყოს ერთიანი და მოქნილი, რათა მარტივად შეძლოს სტუდენტმა მისი გამოყენება.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების პოზიცია

ჯანმრთელობის მეცნიერებათა სკოლის დირექტორმა, აღნიშნა, რომ იგი ამ პროგრამის თანახელმძღვანელია და შეეცადა თავად გაეცა პასუხი წარმოდგენილ რეკომენდაციებზე. მან აღნიშნა, რომ რამოდენიმე ლექტორი კითხულობს კონკრეტულ საკითხებს და ვიზიტის შემდგომ უკვე მოხდა მითითება თუ ვინ რას წაიკითხავდა, ხოლო ამის განხორციელება ხდება შემდეგნაირად - ლექტორი წარმოადგენს კითხვას კურატორთან და შემდგომ ეს კითხვა ერთობლივი რეჟიმით მუშავდება. მან ხაზი გაუსვა, რომ ეს ეხებოდა სასწავლო კურსებს და არა თავად სამაგისტრო ნაშრომს. „კურატორის არსებობა განაპირობებს სასწავლო კურსების უკეთ მართვას, რაც საჭიროა გამომდინარე იქიდან, რომ სასწავლო კურსს ჰყავს 2 ან 3 ლექტორი. ეს გახლავთ ტრომსოს უნივერსიტეტის გამოცდილება", - აღნიშნა მან.

დისკუსია

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ „ეპიდემიოლოგიური სტატისტიკა და კვლევის მეთოდები" დასაშლელია ცალ-ცალკე კურსებად. მან დასძინა, რომ კვლევის მეთოდებში განხილული SPSS პროგრამა შესაძლოა ცალკე კურსადაც მიეთითოს. ასევე, სასურველია, რომ ცალკე კურსად იყოს შეთავაზებული „ჯანდაცვის მენეჯმენტი და ეკონომიკა". ჯანდაცვის ეკონომიკასთან ერთად აუცილებლად განსახილველია ფინანსები, მენეჯმენტის საფუძვლები, ასევე ჯანდაცვის სერვისების მენეჯმენტი, პროგრამების დაგეგმვა, განვითარება და შეფასება. მან აღნიშნა, რომ ამ კურსს ასევე აკლია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამართალი და მისი კომპონენტები.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თითოეული საგანი არის კონდინირებული საგანი. მან აღნიშნა, რომ სხვადასხვა საკითხებში ჩაღრმავება არ იქნებოდა სასურველი, რადგან თითოეული ასეთი ჩაღრმავება ცალკეული სამაგისტრო პროგრამების დონეებია. მან მაგალითისათვის აღნიშნა, რომ ეპიდემიოლოგიის ცალკე პროგრამაც კი არსებობს მაგისტრატურაში. თუმცა კი, ისიც დაამატა, რომ ზემოთ ნახსენები საკითხები არის ნახსენებია კურსებში. მაგალითისათვის, SPSS საჭიროა კვლევისთვის, თუმცა არსად არის მოხსენიებული, როგორც კვლევის მეთოდი. მან აღნიშნა, რომ ეს კურსები ერთმანეთს ეხმარებიან, რომ გამოვიტანოთ შედეგი. მან დაამატა, რომ ჯანდაცვის პროგრამაში შეიძლებოდა ამ კურსების მოთხოვნა, თუმცა მათი პროგრამა არ იყო გათვალისწინებული ასეთ ჩაღრმავებაზე.

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

საბჭორს ერთ-ერთმა წევრმა დასვა კითხვა, თუ რა გეგმა ჰქონდა სამომავლოდ უნივერსიტეტს, რომ ეს დიდი კრედიტები არ ყოფილიყო ერთმანეთისგან განსხვავებული.
უნივერსიტეტის წარმომადგენელა უპასუხა, რომ განვლილი წლების განმავლობაში შესწავლილი მასალებიდან გამომდინარე, ასევე გამოიკვლიეს კვლევის დროს რას ენიჭება მნიშვნელობა და ამ ყველაფრის დაჯამებით, მათ მიიღეს გადაწყვეტილება რომ ასეთი დაკავშირება იყო უფრო მეტად პრაქტიკული. არის შემთხვევები, როცა ცალკე არის გამოტანილი კვლევის საკითხები საგნებად, თუმცა ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა მოიცავს ამ კვლევებს. მათ აღნიშნეს, რომ ყოველი სემესტრის ბოლოს ატარებენ ტესტირებას სტუდენტებთან და ლექტორებთან, რათა გამოჩნდეს სხვადასხვა სახის საჭიროებები.

სათათბირო შესვენება
დაწყების დრო 16:05
დამთავრების დრო 16:20

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და ჯანდაცვის პოლიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამათვის აკრედიტაციის 7 წლის ვადით მინიჭების საკითხი 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- ✓ საბჭო ნაწილობრივ იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კერძოდ, საბჭომ მიიჩნია, რომ რჩევების ნაწილში უნდა იქნეს გადატანილი შემდეგი რეკომენდაცია - ა) რეკომენდებულია ქართულენოვანი საგანმანათლებლო ლიტერატურის დამატება, თუნდაც „რიდერების“ ან „ჰენდაუთების“ ან სალექციო მასალის სახით. ასევე, საბჭოს მიერ დამატებით გაიცა რჩევა, რომ მეტი ყურადღება დაეთმოს სასწავლო პროცესში ინტეგრირებული მეთოდებით სწავლებას.

საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცი(ებ)ი:
ა) საგნებში გათვალისწინებულ იქნეს კონკრეტული შემთხვევების/პრაქტიკული მაგალითების (საქმეების) გარჩევა;
ბ) ეპიდემიოლოგია, ბიო სტატისტიკა და კვლევითი მეთოდების ერთიანი სასწავლო კურსიდან კვლევითი მეთოდების სწავლება ცალკე კურსად ჩამოყალიბდეს;
გ) ჯანდაცვის მენეჯმენტი და ეკონომიკის სასწავლო კურსში გათვალისწინებულ იქნას ფინანსების სწავლება. გაძლიერდეს მიკროეკონომიკის სწავლება.

საბჭოს მიერ გაცემული რჩევა:

რჩევები - საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულ იქნას ჯანდაცვის მომსახურების სფეროს შესახებ სწავლება; ასევე, სასურველია სტუდენტებისთვის ფინანსების სფეროს სასწავლო კურსის შეთავაზება.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 1
გადაწყვეტილება

- ✓ აკრედიტაციის შესახებ
  პირობითი აკრედიტაციის შესახებ
  აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ
  აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

საბჭომ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიანიჭა აკრედიტაცია 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

3. მესამე საკითხი - შპს - ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის, შპს - კავკასიის უნივერსიტეტის და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების“ ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[15]	ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი
3	სტატუსი[16]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2014 წლის 29 სექტემბრის #185 (თსუ), #186 (გაუ), #187 (კავკასიის უნივერსიტეტი) გადაწყვეტილებებით; 2017 წლის 31 იანვრის #07 გადაწყვეტილება აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 29 სექტემბრის #185, #186, # 187 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[17]	
6	უმაღლესი განათლების საფეხური[18]	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[19]	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სოციალური მეცნიერებების მაგისტრი

[15] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[16] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[17] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[18] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[19] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[20]	-
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
13	განხორციელების ადგილი[21]	საქართველი, ქ. თბილისი 0160, მერაბ ალექსიძის ქ. №10, ქ. თბილისი 0128, ილია ჭავჭავაძის გამზ, №1, ქ. თბილისი 0132, პ.სააკაძის №1
14	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

გურანდა ჭელიძე - თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.
ნიკოლოზ კიკნაძე - საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა განაცხადა, რომ დეკემბრის ბოლოს შედგა ვიზიტი შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში. ისინი შეხვდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, აკადემიურ პერსონალს, მაგისტრანტებს. პროგრამასთან დაკავშირებით მან აღნიშნა რომ რამდენიმე ევროპულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის საფუძველზე ჩამოყალიბდა მიმდინარე პროგრამა, რაც მის დადებით მხარეებს უსვამს ხაზს. აღინიშნა, რომ ევროპასთან ინტეგრაციის კვალდაკვალ მნიშვნელოვანია მსგავსი სახის სამაგისტრო პროგრამები და ექსპერტთა ჯგუფი მხარს უჭერს ასეთი პროგრამის გაგრძელებას. უნივერსიტეტი უზრუნველყოფილია საჭირო ინფრასტრუქტურითა და შესაბამისი ლიტერატურით.

---

[20] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[21] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა შთამბეჭდავია. მან ასევე დასძინა, რომ თეზისების დამუშავების დროს გათვალისწინებული იქნება სხვა ქვეყნების გამოცდილებაც. ევროკავშირის მოთხოვნის კვალდაკვალ, პროგრამის მნიშვნელოვნება ასევე მდგომარეობს იმაში, რომ მსგავსი პროგრამა გაამრავალფეროვნებს ამ სფეროში ცოდნასა და გამოცდილებას საქართველოში. საუბარი იყო, ასევე შეუსაბამობაზე კურიკულუმსა და სილაბუსში რაოდენობრივი კვლევების მიმართულებით. წიგნებზე ხელწვდომა სამივე უნივერსიტეტს აქვს, რაც თავის მხრივ ართულებს სტუდენტისთვის მისთვის სასურველი წიგნის მოპოვების პროცესს. მან ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა რაოდენობრივ კვლევაში აქტიური ჩართულობა სავალდებულო იყოს ჯგუფის ყველა სტუდენტისთვის. სხვა მხრივ, სამივე უნივერსიტეტი ეფექტურად უზუნრუველყოფს სტუდენტისთვის ცოდნის მიწოდებას პრაქტიკული თუ აკადემიური თვალსაზრისით. მან ასევე აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ თანამშრომლობა უცხოურ უნივერსიტეტებთან ამ ეტაპზე აღარ წარმოებს, უნივესიტეტი ძალისხმევას არ იშურებს, რომ დაამყაროს თანამშრომლობა უცხოურ უნივერსიტეტებთან. ამრიგად, ექსპერტის აზრით, პროგრამა ნამდვილად იმსახურებს გაგრძელებას.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების პოზიცია

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ არცერთ სასწავლო კურსს არ გააჩნია წინაპირობა გამომდინარე იქიდან, რომ სტუდენტს ჰქონდეს საშუალება შეიცვალოს განათლების მეორე საფეხურზე პროფესია მისი სურვილის შემთხვევაში. ასევე, თავად პროგრამა გახლავთ ინტერდისციპლინარული, რაც კიდევ ერთხელ ქმნის იმის ფონს, რომ პროგრამას არ გააჩნდეს მიღების წინაპირობა. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ მიღების კრიტერიუმები საკმაოდ მკაცრია. ეს გახლავთ ოთხი მიმართულება: ეკონომიკა, პოლიტიკური მეცნიერებები, სამართალი და სოციოლოგია და თითოეულის შემთხვევაში არის გაწერილი, თუ რა საკითხები უნდა იცოდეს აპლიკანტმა ჩაბარების დროს. ასევე მან აღნიშნა, რომ ორ საგანს გააჩნია წინაპირობა და ესენია: კვლევის მეთოდები და ინგლისური ენა. „აკადემიური წერა", როგორც საგანი ჩაჯდა სავალდებულო საგნებში, რადგან მაგისტრანტების ნაშრომების შესწავლამ გამოკვეთა ამის აუცილებლობა. გარდა ამისა, შეიქმნა კვლევის განვითარების კომისია, რომელიც ნაშრომის გატანამდე ამოწმებს (პლაგიატზე შემოწმების შემდეგ) რამდენად შესაძლებელია გატანილი იყოს ესა თუ ის ნაშრომი დასაცავად.

ერთ-ერთი უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს პროგრამა უნიკალურია გამომდინარე იქიდან, რომ მას სამი უნივერსიტეტი ახორციელებს. მან აღნიშნა, რომ შეიტანდა ერთ შესწორებას - „კვლევის მეთოდები" თავდაპირველად იყო სავალდებულო, შემდგომ გახდა არჩევითი და ახლა კვლავ სავალდებულო საგანია პროგრამაში. მიზეზი იმისა, რომ ეს საგანი გახდა არჩევითი გახლდათ ის მოსაზრება, რომ ამ კურსზე მოსულ სოციოლოგებს უკვე ჰქონდათ გავლილი ეს საგანი, თუმცა პრაქტიკამ აჩვენა, რომ ასე არ იყო. შესაბამისად მოხდა ამ კურსის ისევ სავალდებულოში გადატანა. ასევე მან დაამატა, რომ კვლევის მეთოდებთან ერთად ცალკე კურსად არის საჭირო ისწავლებოდეს „სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმი".

დისკუსია

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ექსპერტებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა და იგი ვერ ხედავს ბევრ იმ ექსპერტს, რომელთა კომპეტენცია თავის დროზე მის მიერ ეჭვქვეშ იყო დაყენებული და იგი აღნიშნავს, რომ მუდამ დააფიქსირებს ექსპერტების პასუხისმგებლობის საკითხს.

საბჭოს წევრმა დაუსვა კითხვა დაწესებულებას და ექსპერტს. მან დაწესებულების მისამართით აღნიშნა, რომ იგი ინტერესდებოდა პროგამის შექმნის პროცესში რომელი ქვეყნის წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას. ექსპერტების მისამართით მან აღნიშნა, რომ მეორე სტანდარტი არის მეტწილად შესაბამისობაში, ხოლო თავად მოცემული რეკომენდაცია არის სამი სახის - აქედან ორი ნაწილი რჩევებს უფრო მიესადაგება, ვიდრე რეკომენდაციას. იგი ინტერესდებოდა, რეკომენდაციის პირველი ნაწილი კურიკულუმთან მიმართებაში ერთჯერადი ხასიათის იყო თუ არა.

კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორმა და პროგრამის თანახელმძღვანელმა უპასუხა რომ, პროგრამის შემუშავების პროცესში თავიდანვე იყვნენ ჩართულნი სამი ქვეყნის წარმომადგენლები, ესენია - ბელგიის, ბრუსელის ბრიჯის უნივერსიტეტი; გერმანიის, კერძოდ მაგდენბურგის უნივერსიტეტი და ბულგარეთის უნივერსიტეტი. ეს იყო აკადემიური პერსონალის ყოველწლიური, სისტემატიური ვიზიტები პარტნიორ

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

უნივერსიტეტებში, რომელიც სავსე იყო გამოცდილების გაზიარებით. თავად საგნების ჩამონათვალიც ერთობლივად იყო შემუშავებული. შემდეგ მოხდა აკადემიური პერსონალის გადამზადება, ხოლო შემდგომ სალექციო მასალის მომზადება.

ერთ-ერთი უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს ყოველივე ხორციელდებოდა Erasmus+ -ის პროგრამის ფარგლებში, მათ მოიპოვეს სამწლიანი გრანტი.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ იგი ინტერესდებოდა, თუ სად დასაქმდებოდნენ ამ პროგრამის კურსდამთავრებულები, რადგან თავად მისანიჭებელი ხარისხი გახლავთ „სოციალური მეცნიერების მაგისტრი", რაც, მისი აზრით, საკმაოდ ზოგადი ხასიათისაა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს პროგრამა გახლავთ თან თეორიული და თან პრაქტიკული, ამიტომაც ბევრი პრაქტიკულ საქმიანობაში საქმდება, მაგალითად HR-ის კუთხით, ანდაც ინსპექციებში. ზოგიერთი ნაწილი აგრძელებს დოქტორანტურაში სწავლას.

საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამის სილაბუსს ეწერა გაუ-ს უნივერსიტეტი, რაც მისთვის გაუგებარია, გამომდინარე იქიდან, რომ ეს პროგრამა სამი უნივერსიტეტის ერთობლივი პროგრამაა.

ერთ-ერთი უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2015 წელს, როცა უნდა მომხდარიყო ამ პროგრამის აკრედიტაცია, ფორმალურად გაჟღერდა, რომ იგი იყო ერთობლივი, თუმცა რეგულაციაში არ იყო ცვლილება შეტანილი, რაც ორი წლის შემდეგ, განათლების კანონში შეტანილი ცვლილების შედეგად, შეიცვალა. აღსანიშნავია, რომ სტუდენტი ირიცხება ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში და სხვა პარტნიორი უნივერსიტეტები ამაზე თანხმობას იძლევიან, თუმცა კი სტუდენტი იღებს სამივე უნივერსიტეტის დიპლომს. სამივე უნივერსიტეტი იღებს პასუხისმგებლობას მისი სასწავლო კურსის განხორციელებაზე.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რა სტანდარტებით ხდება შეფასება, რადგან თითოეულ უნივერსიტეტს თავისი შეფასების სტანდარტი გააჩნია. მან ასევე აღნიშნა, რომ თუკი სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურა ინგლისურ ენაზეა მოყვანილი, მაშინ ვერ ხედავს საჭიროებას ინგლისური ენის, როგორც სავალდებლო საგნის სწავლების საჭიროებას. მან ასევე დააზუსტა, რომ ერთ-ერთ საგანში მოყვანილი იყო თემის დასახელება „სოციალიზმის ნგრევა ევროპაში", ექსპერტმა დააზუსტა, რომ ეს სოციალური წყობის და არა თავად სოციალიზმის ნგრევა იყო.

ერთ-ერთი უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ინგლისური ენა არჩევითში იყო და არა სავალდებულოში.

ერთ-ერთი უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს გახლავთ ინგლისური ენა სპეციალურად სოციალური მეცნიერებებისთვის. შესაბამისად მისი სპეციფიკიდან გამომდინარე ის არ გახლდათ მხოლოდ ენის სასწავლო კურსი.

ერთ-ერთი უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ იმ უნივერსიტეტის შეფასების სისტემა ხორციელდება, რომელშიც მიმდინარეობს პროგრამის კურსის გავლა.

ერთ-ერთი უნივერსიტეტის აკადემიურმა ნაწილმა, რომელსაც გააჩნდა საბჭოზე თვითაცილება, აღნიშნა, რომ სილაბუსი მომზადდა ევროპაში, რომელიც მზადდებოდა 3 წლის მანძილზე. მან აღნიშნა, რომ მათი ერთ-ერთი კოორდინატორი ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტიდან ხშირად ჩამოდიოდა საქართველოში პროგრამასთან დაკავშირებით.

საბჭოს ერთ–ერთი წევრის მიერ დასმულ შეკითხვაზე აისახება თუ არა სასწავლო კურსების ფარგლებში ევროინტეგრაციულ პროცესებთან ერთად ევროკავშირში დაწყებული პროცესები ბრექსიტთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში იკითხება სასწავლო კურსი ევროკავშირის გაფართოება აღმოსავლეთით, რომლის სილაბუსი მომზადდა პარტნიორ უნივერსიტეტში, ერთობლი მუშაობის პროცესში რამდენჯერმე პროგრამის კოორდინატორთან ერთად მოხდა სილაბუსის მოდიფიცირება და მიმდინარე სასწავლო წელს, ამავე სილაბუსში ევროინტეგრაციულ პროცესებთან ერთად ადგილი დაეთმო ბრექსითის საკითხსაც.

საბჭოს წევრმა დააზუსტა, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებს ირჩევენ თავად მაგისტრანტები და დაცვა ხდება ერთობლივ კომისიაზე.

ერთ-ერთი უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ტურნიტინის პროგრამაშია ჩართული სამივე უნივერსიტეტი და ყველა სამაგისტრო ნაშრომი, Erasmus + -ის დაფინანსებიდან გამომდინარე, ყველა

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

მოწმდება პლაგიატზე, ხოლო თავად სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება გაუ-ში ერთობლივ კომისიაზე. „უკვე 6 თვეზე მეტია გაუ დაემატა კონსორციუმის წევრად", - აღნიშნა ასევე მან. მან ხაზი გაუსვა, რომ სამივე უნივერსიტეტიდან თანაბარი რაოდენობის წევრებია წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე.
საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ ვინ აწერდა ხელს ერთობლივ დიპლომს.
ამ კითხვაზე პასუხი არ გაცემულა.
საბჭოს ერთ-ერთი წევრი დაინტერესდა, თუ რა მოიაზრებოდა პროგრამაში ნახსენებ თეორიულ კურსებში?
ერთ-ერთი უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ თეორიული კურსები და პრაქტიკული ნაწილი წარმოადგენს სამაგისტო სწავლების სამ სემესტრს, ხოლო ეს თეორიული კურსები განსაზღვრავდა შემდეგ მაგისტრის დაინტერესებას, თუ რა კუთხით წაეყვანა სამაგიტრო ნაშრომი.
საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა სამი წლის მანძილზე 27 სტუდენტი გააგზავნა მობილობით უცხოეთში. იგი დაინტერესდა, სამი წლის შემდგომ, 2017 წლიდან, იყო თუ არა გაგზავნილი სტუდენტები კვლავ.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ გაუ იღებს ვალდებულებას, რომ ერთობლივი ბიუჯეტიდან მაღალი ჯიპიაის მქონე ერთი სტუდენტი გაუშვას საზღვარგარეთ სამაგისტრო თეზისზე.

სათათბირო შესვენება
დაწყების დრო 17:19
დამთავრების დრო 17:44

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის, შპს - კავკასიის უნივერსიტეტის და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების" ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის 7 წლის ვადით მინიჭების საკითხი.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- ✓ საბჭო ნაწილობრივ იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კერძოდ, „2.2" სტანდარტში ასახული რეკომენდაცია განსაზღვრა როგორც რჩევა.

საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები:
ა) სწავლების პროცესი განხორციელდეს კონკრეტული შემთხვევების განხილვის საფუძველზე (Case study);
ბ) გასწორდეს სილაბუსებში არსებული ტექნიკური ხარვეზები;
გ) სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში, სტუდენტების ინფორმირების მიზნით, დაზუსტდეს ნაშრომის მომზადება-დაცვის სამ სხვადასხვა უნივერსიტეტში არსებობის შესაძლებლობა;
დ) სამაგისტრო ნაშრომის ვიზუალური გაფორმება უზრუნველყოფდეს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი, სამივე, საგანმანათლებლო დაწესებულების იდენტიფიცირებას;
ე) გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი - ტერმინი „სოციალიზმი" ჩანაცვლდეს „სოციალისტურით".
ვ) გამრავალფეროვნდეს ლიტერატურა (წყაროებში მიეთითოს თანამედროვე და აქტუალური, მათ შორის კვლევით ნაშრომები) და სილაბუსებში მიეთითოს რელევანტური მასალა და ადეკვატური მოცულობის ლიტერატურა. მაგალითად, შემდეგ სილაბუსებში: „პოლიტიკური ეკონომიკა", „ევროპისა და საერთაშორიშო შრომის სამართალი", შრომითი სამართალი საქართველოში - შედარებითი პერსპექტივა", „შრომისა და ორგანიზაციის ისტორია", „საჯარო პოლიტიკა და მმართველობა", „ევროკავშირის ფუნქციონირება - ინსტიტუციები და პროცესები", „შრომის ორგანიზაცია და სოციოლოგია", „დასაქმების პოლიტიკა და არაფორმალური ეკონომიკა".

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

- ✓ აკრედიტაციის შესახებ
  პირობითი აკრედიტაციის შესახებ
  აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ
  აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭომ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიეცეს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

4. მეოთხე საკითხი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სატყეო საქმის“ სადოქტორო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[22]	სატყეო საქმე
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[23]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2014 წლის 25 თებერვალის გადაწყვეტილება №46
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[24]	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური[25]	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[26]	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი სატყეო საქმეში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[27]	-
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
13	განხორციელების ადგილი[28]	საქართველო, 0192, ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. N17, ქ. თბილისი, კორპ. N11.

[22] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[23] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია;
[24] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[25] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[26] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[27] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[28] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

14	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

საბჭოს წევრი - დიმიტრი გეგენავა - თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.
საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27[2] მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად სხდომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა საბჭოს წევრი ნიკა თიკანაშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს/სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს/სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშსა და მასზე თანდართულ მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების პოზიცია
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 1 წლის წინ, მარტში მოხდა ტექნიკური უნივერსიტეტის სატყეო საქმის სადოქტორო პროგრამის განხილვა. დოკუმენტაციაში მოცემულია, რომ ექსპერტების დასკვნა არის 4 სრული და 1 მეტწილი. წინა საბჭოს პირობებში, იმ მომენტისათვის არ იყო დარგის არცერთი სპეციალისტი, ამიტომაც საბჭო იძულებული გახდა გარედან მოეწვია დარგის სპეციალისტი. იმ საბჭოზე, განხილვის პროცესში არ დასმულა არანაირი შეკითხვა. მოწვეული სპეციალისტი მხარს უჭერდა პროგრამის განხორციელებას. კითხვები ასევე არ დასმულა საბჭოს წევრების მხრიდანაც, ორი ფორმალური კითხვის გარდა, რომელიც უმეტესად დაზუსტებას გულისხმობდა თავისი არსით. ექსპერტის მიერ წარმოდგენილი 9 რეკომენდაციიდან, არცერთი ეხებოდა პროგრამის განხოციელებას. ამ რეკომენდაციებიდან უნივერსიტეტმა გაიზიარა და გამოასწორა 2, 5, და 8 რეკომენდაცია. საბოლოოდ, 1 წლის წინ ამ პროგრამამ მიიღო პირობითი აკრედიტაცია, რაც გასაჩივრდა უნივერსიტეტის მიერ. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ოქმი აიტვირთა დაგვიანებით და მასში მკაფიოდ არ იყო გაწერილი რეკომენდაციები. სააპელაციოს მიერ დანიშნულ შეხვედრაზე საბჭოს არცერთი წევრი არ გამოცხადებულა. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ერთი წლის მერეც კი მათ არ იციან ამ პირობებში რა გააკეთონ. კონკრეტულად, მეორე სტანდარტში რა უნდა გამოასწორონ ბუნდოვანია.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ პროგრამაზე შემოსვლის დროს სტუდენტს უნდა გააჩნდეს მაგისტრის დიპლომი. ეს რეგულირდება განათლების კანონით (კერძოდ, მუხლი 49). ვიზიტის

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

პერიოდში უკვე მიმდინარეობდა დოქტორანტურის დებულებაზე მუშაობა და ამრიგად, რამოდენიმე დღეში მოხდა იმ რეკომენდაციების გათვალისწინება და შესწორება აღნიშნულ პროგრამაში. 22 მარტს დებულებაში ცვლილებები შევიდა. მესამე რეკომენდაცია, თუ რის მიხედვით ხდებოდა სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ჩარიცხვა დაფუძნებული იყო აპლიკანტთან გასაუბრების ფორმატზე, რომელიც ასევე წარმოდგენილი იყო დებულებაში. მეოთხე რეკომენდაცია ეხებოდა სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკას და ასევე მენეჯმენტს, რომელთა სილაბუსები თემების დონეზე გადაფარავდა ერთმანეთს, შესწორებული და გათვალისწინებული იყო. მეხუთე რეკომენდაცია გახლდათ მექანიკური ხასიათის, რომელიც ასევე ჩასწორდა. უნივერსიტეტი არ ეთანხმებოდა მეშვიდე რეკომენდაციას, რომელიც გახლდათ ექსპერტების შეცდომა. კერძოდ, დოქტორანტურის დებულების ჩანაწერის მიხედვით შეფასება ხდება ოთხი კრიტერიუმით და თითო გახლავთ 5 ქულიანი. დებულებაში აღნიშნული იყო რომ ხდება სკალირებული ქულის გამოყვანა. ექსპერტმა არასწორად დაიანგარიშა ეს და ვერ მიიღო 30 ქულა. ამრიგად, ეს გახლდათ ტექნიკური შეცდომა ექსპერტების მხრიდან. უნივერსიტეტი ნაწილობრივ დაეთანხმა მერვე რეკომენდაციას. მათ შეცვალეს სილაბუსის ფორმა. უნივერსიტეტის წარმომადგენელი აცხადებს, რომ მათთვის გაუგებარია მსგავსი ტიპის დასკვნა (კერძოდ, პირობითი აკრედიტაცია). მეცხრე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ კვლევითი კომპონენტი იწყება პირველივე სემესტრში; სწავლის დაწყებისთანავე დოქტორანტი ხელმძღვანელთან ერთად იწყებს სადოქტორო ნაშრომის გეგმის შემუშავებას. მეორე რჩევასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დოქტორანტის შემდგომი მიზანია ლექციების წაკითხვა, ამრიგად, სწავლების პერიოდში უნდა გაიაროს ის საგნები, რომლებიც მოყვანილია სადოქტორო პროგრამაში.

დისკუსია

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთ სილაბუსში მითითებულია ინგლისურენოვანი სავალდებულო სახელმძღვანელო და ეს არ იქნებოდა სამართლიანი სტუდენტისთვის, რომელიც ფლობს ფრანგულ ენას. გარდა ამისა, ერთ-ერთი სილაბუსის ავტორი, რომელსაც მითითებული აქვს ინგლისურენოვანი სახელმძღვანელო, თავად ფლობს ინგლისურს მხოლოდ ლექსიკონის გამოყენებით. იგი ასევე დასძენს, რომ საგნები, რომელთა სილაბუსების თემატიკაც ფარავდა ერთმანეთს, არ არის პროგრამის მიზნებთან შესაბამისობაში. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ კურსი, რომელიც არის წარმოდგენილი არ იძლევა იმ უნარებზე გასვლის საშუალებას, რაც აღწერაშია ჩადებული.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს გავლილი იყო ადრე, ვიზიტზე გახლდათ დარგის ორი სპეციალისტი და ერთი სტუდენტი და მათ ჰქონდათ განსხვავებული მოსაზრება. დოკუმენტაცია, რომელიც წარმოდგენილია საბჭოზე არის ძველი, ხოლო ამჟამად გათვალისწინებულია რჩევები და რეკომენდაციები.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ მოცემულ პროგრამაში (2018 წლის მონაცემებით) კვლევითი კომპონენტი არის ჩამლილი, ხოლო 2016 წელს მინისტრის ბრძანებით შევიდა ცვლილება, რომ კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად. ამრიგად, სახეზეა შეუსაბამობა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მას გამორჩა ეს საკითხი. ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე იყო საუბარი უნივერსიტეტში და მათ მიიღეს აკადემიურ საბჭოზე გადაწყვეტილება, რომ 120 კრედიტის ერთჯერადად შეფასება განხორციელდეს.

საბჭოს წევრმა მოითხოვა დაზუსტება, თუ რა პოზიცია ჰქონდა უნივერსიტეტს რჩევებთან დაკავშირებით. კონკრეტულად საუბარი იყო მერვე რჩევაზე.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების რუკაში დაზუსტდა სწავლის შედეგები სასწავლო კურსთან მიმართებაში. ასევე გაკეთდა ცალკე დოკუმენტი - სწავლის შედეგების მექანიზმი, რომელიც მოიცავს მონიტორინგის ფორმებსაც და ყოველი სემესტრის დასასრულს ხორციელდება, რათა იყოს გამჭვირვალობა.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ მოყვანილია პროგრამასთან დაკავშირებული სპეც-კურსი, რომელიც მოიცავს 5 კრედიტს. საბჭოს წევრს აინტერესებდა, თუ რა იგულისხმებოდა ამ სპეც-კურსში.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სტრუქტურა მთლიანად იქნა შეცვლილი.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტი შეიქმნა 2014 წელს. 2016 წლიდან ფაკულტეტი გადავიდა ახალ გარემოში. დღეისათვის სატყეო მიმართულებაზე მათ ჰყავთ 5 სტუდენტი,

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

აქედან ერთმა უკვე დაიცა ხარისხი. აიღნიშნა, რომ ამ პერიოდში მუდამ ხდებოდა გაცვლითი ხასიათის პროგრამები Erasmus+ -ის ფარგლებში სატყეო მიმართულებით. მან ასევე აღნიშნა, რომ საკმაოდ დიდი მოთხოვნაა სატყეო სპეციალობის მქონე პირებზე.

სათათბირო შესვენება
დაწყების დრო 18:42
დამთავრების დრო 19:18

კენჭისყრის შედეგები - პირობითი აკერდიტაცია, წინა საბჭოზე მიღებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვება:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება

საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცი(ებ)ი
ა) დაწესებულებამ უზრუნველყოს "სატყეო საქმის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 05 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესთან" შესაბამისობაში მოყვანა;
ბ) საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში აღმოიფხვრას ტექნიკური ხარვეზები, მათ შორის სწორად იქნას მითითებული ინგლისურენოვანი ლიტერატურა;
გ) გადამუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტები სწავლების მეთოდები და განათლების მენეჯმენტი, ისე რომ არ იყოს თემატიკის ურთიერთ გადაფარვა;
დ) განახლდეს სასწავლო მასალა და მიეთითოს თანამედროვე ლიტერატურა;
ე) საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასება შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 05 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესთან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლის საფუძველზე, საბჭომ მიიჩნია, რომ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სატყეო საქმის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით 2019 წლის 26 თებერვალს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული №53 გადაწყვეტილება უნდა დარჩეს ძალაში.

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-3, მე-32 ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-3, მე-5 და მე-7 პუნქტების, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, 28^8 მუხლის მე-2, მე-3 პუქნტებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლის და 53-ე მუხლის შესაბამისად, ძალაში დარჩეს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება უცვლელად.

საბჭოს მდივანი ნიკოლოზ კიკნაძე

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა